ფინანსური ანგარიშგება

შპს ,,სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"

საანგარიშგებო პერიოდი: 01.01.2022წ.-31.12.2022წ.

ანგარიშის შედგენის თარიღი: 29 სექტემბერი 2023წ.

ზოგადი ინფორმაცია

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ (შემდეგში «კომპანია») დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს ქ. თბილისი, სამგორის რაიონი ორხევის დასახლება, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა №21ᵃ -ში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა, საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები, გზების და ავტობანების მშენებლობა

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები. კომპანია დაფუძნდა 2006 წლის 29 მარტს და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%- იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“, 405007200.

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ -ს მიერ წარმოდგენილი 2022 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში - “ანგარიშგება”) მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - “ფასს-ები”), შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (შემდგომში - “ბასს-ები”) და მათი ინტერპრეტაციების ჩათვლით, ყველა არსებით ასპექტში. ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში – 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით – საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება ფასს-ებით, აგრეთვე ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისთვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ -ს დირექტორი

ფინანსური ანგარიშის შინაარსი

1. ფინანსური მდგომარეობა /ბალანსი/.....
2. საქმიანობის შედეგები /მოგებისა და ზარალის ანგარიშგება/.....
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება .....
4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები .....

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ -ს დირექტორი

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა /ბალანსი/

საბალანსო ანგარიშები	2022 წ.	2021 წ.	2020 წ.
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	164280	801212	1800020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	277993	317594	383889
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	9997
მარაგები	77200712	82283650	83411489
მზა პროდუქცია	37688	40300	41156
სხვა	77163024	82243350	83370333
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2839	27741	35565
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0

გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	7320	9924	12528
ძირითადი საშუალებები	585825	593553	3339119
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	78238969	84033674	88992607
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	262413	498547	511792
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	3599	3903	34064
სულ ვალდებულებები	366012	502450	545856
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	122534818	127476763	133706105
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-46048324	-45332002	-46645817
გადაფასების რეზერვი	1386463	1386463	1386463
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	77872957	83531224	88446751
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	78238969	84033674	88992607
სულ მოკლევადიანი აქტივები	77203051	8250658	9382484
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	366012	502250	545856

დირექტორი _____

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები /მოგება-ზარალის ანგარიშგება/

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	164481	98140
საქონლის გაყიდვიდან	88114	65593
მომსახურების გაწევიდან	76367	32547
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-133830	-76083
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	30651	22057
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-991571	-1092714
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-9855	-68921
საპროცენტო შემოსავალი	33973	103666
საპროცენტო ხარჯი		
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-96875	-264986
სულ საოპერაციო ხარჯები	-1064328	-1322955
საოპერაციო მოგება	-1033677	-1300898
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	52200	112475
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-981477	-1188423
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-981477	-1188423
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-981477	-1188423
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	83531224	88446751

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-4676790	-3727104
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	77872957	83531224

დირექტორი _____

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-636932	-998808
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-636932	-998808
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	801212	1800020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	164280	801212

დირექტორი _____

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. **ბიზნეს გარემო**

   კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც

განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მოიცავს 2022 კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ვალუტა	სავალუტო გაცვლითი კურსი	
	2022 წლის ბოლოს	2021წლის ბოლოს
1 აშშ დოლარი /USD/	2,7020	**3.0976**
1 ევრო /EUR/	2,8844	**3.5040**

4. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით". დაბეგვის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით - თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ბალანსში აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.
არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყობა) და სხვა არამატერიალურ აქტივებს. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით შესაბამისი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

6. ამონაგების აღიარება

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა და ლიზინგი, საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები, გზების და ავტობანების მშენებლობა ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით, კერძოდ მომსახურების რეალიზაციის საფუძველზე, ამონაგების ფორმირება ხდება მომსახურების გაუქმების მიხედვით ყოველი დასრულებული თვის მონაცემებზე დაყრდნობით.

შემოსავალის ცხრილი

ლარი	2022	2021
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	77630	22990

7. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში რომელშიც მოხდა მათი გაწევა ანუ დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

ხარჯების ცხრილი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

-

#	დასახელება	2022 წელი	2021 წელი
1	კომუნალური ხარჯი	23160	26606
2	კომუნიკაციის ხარჯი	8789	12415
3	საწვავის ხარჯი	45807	34946
4	რემონტი	14071	9376
5	ბანკის ხარჯი	282	410
6	დაცვის მომსახურება	1637	1474
7	მივლინება	850	200
8	დაზღვევის ხარჯები	1467	1680

9	სამეურნეო ხარჯი	288	2132
10	სხვა საერთო ხარჯი	523	688
11	აუდიტორული მომსახურება		69219
12	კომპიუტერის ხარჯი		130
13	სხვასაგდასახადო ხარჯი		32274

8. **საგადასახადო ვალდებულება**

საგადასახადო ვალდებულება აღირიცხება იმ თანხით რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. მოგების გადასახადის გადახდა ხდება დივიდენდის გაცემის შემთხვევაში და ასევე კოდექსით განსაზღვრულ მოგების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებზე.

9. **სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს.

კომპანიის მარაგები მოიცავს იმ მარაგებს, რაც საჭიროა კომპანიის მუშაობისთვის.

დასახელება	**2022**	**2021**
საქონელი	77163024	82243378
მზა პროდუქცია	37688	40300
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	77200712	82283678

10. **სავაჭრო მოთხოვნები**

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის მოთხოვნები ფორმირებულია ძირითადი საქმიანობიდან - ----------

დასახელება	**2022**	**2021**
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	277993	317594
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**277993**	**317594**

11. **სავაჭრო ვალდებულება**

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის

ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

<u>კომპანიის ვალდებულებები წარმოშობილია ძირითადი საქმიანობიდან და აერთიანებს საქონლის მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.</u>

დასახელება	**2022**	**2021**
საქონლის მიწოდებიდან და მომსახურ. წარმოქმნ. ვალდებულება	262413	498547
<u>სულ სავაჭრო ვალდებულება</u>	**<u>262413</u>**	**<u>498547</u>**

12. <u>დამატებული ღირებულების გადასახადი</u>

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის" საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის" საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

13. <u>დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები</u>

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

14. <u>ფულადი სახსრები</u>

კომპანიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს:

<u>ს.ს თიბისი ბანკში, ს.ს. საქართველოს ბანკში, ს.ს ბანკი ქართუში</u>

დასახელება	**2022**	**2021**
ნაღდი ფული სალაროში	31	31
ფულადი სახსრები ბანკის ანგარიშზე	164249	801181
<u>სულ ფულადი სახსრები</u>	**<u>164280</u>**	**<u>801212</u>**

15. <u>ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ</u>

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

<u>გარემოს დაცვის საკითხები.</u> საქართველოში გარემოს დაცვის რეგულაციების შესრულება ძალას იკრეფს და სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოს დაცვის მიდგომები მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს გარემოს რეგულაციების შესრულების ფარგლებში. ვალდებულების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარებაც. პოტენციური ვალდებულება, რომელიც არსებულ რეგულაციებში ცვლილებებით, სამოქალაქო დავებით ან კანონმდებლობის ცვლილებით არის გამოწვეული, წინასწარ ვერ შეფასდება, თუმცა ასეთი ცვლილებები შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ გარემოში, არსებული კანონმდებლობის პირობებში, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოს დაზიანების თვალსაზრისით.

შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"-ს დირექტორი